25/07/2019	სიგელი ჩამული ჩარჩოში	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '138 25.07.2019 მზარათი '3109/03-25.07.19 გადეცმა "მარტვი ლოგიკა"	136	136	1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (სტანდარტული ლეტაბი)	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	1,021	1,021	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	კალამი	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	191	191	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	წიგნები/სხვადასხვა/სასაჩუქრე	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	728	728	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	მასური ბრენდირებით	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	636	636	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	ბრენდირებული ბლოკნოტი	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	2,542	2,542	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	კალამი ბრენდირებული	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	237	237	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	ჩანთა ბრენდირებით	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	2,298	2,298	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	გულსაბნევი (სამკერდე ნიშანი 5888-იანი)	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	212	212	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788
24/12/2019	პლასტიკის ბოჯი (წიგნების თარი)	საზ. მაუწყებელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადევნა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	508	508	1627 04 183 44069 1627 04 183 44069 1627 04 183 44504 1627 04 173 44838 1627 04 173 44873 1627 04 173 44514 1627 04 173 44865 1627 04 173 44788

24/12/2019	ბლოკნობი (წიგნების თარი სასკოლო)	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	447	447	1627 04 183 44068
24/12/2019	ნაჭრის ჩანთა ბრენდირებული (სასკოლო)	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	1,873	1,873	1627 04 183 44504
24/12/2019	ნეონის სამაჯურები-ცალოზით	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	169	169	1627 04 183 44797
24/12/2019	სამაჯური ბრენდირებით	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	356	356	1627 04 183 44952
24/12/2019	კინოთეატრის ბილეთი/კოდო (სტუდენტური "წიგნების თარი")	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	142	142	1627 04 183 45010
24/12/2019	სანიშნები ზიმა 4.5X21სმ	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	97	97	1627 04 183 45012
24/12/2019	სასაჩუქრე ვაუჩერი 100 ლარიანი	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	1,878	1,878	1627 04 183 45019
24/12/2019	წყალგამბლე სტიკერი	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '267 24.12.2019 გადაცემა "წიგნების თარი" მზარათი '4849/03-24.12.19	42	42	1627 04 183 45024
31/12/2019	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპლექტი (სტანდარტული ლეგტიმი)	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '272 31.12.2019 მზარათი '4975/03-31.12.19 გადაცემა "ვინ არის მე-6-ე კლასელზე ჭკვიანი"	1,021	1,021	2122 44578
31/12/2019	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპლექტი (სტანდარტული ლეგტიმი)	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '272 31.12.2019 მზარათი '4975/03-31.12.19 გადაცემა "ვინ არის მე-6-ე კლასელზე ჭკვიანი"	1,021	1,021	2122 44579
31/12/2019	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპლექტი (სტანდარტული ლეგტიმი)	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '272 31.12.2019 მზარათი '4975/03-31.12.19 გადაცემა "ვინ არის მე-6-ე კლასელზე ჭკვიანი"	1,021	1,021	2122 44580
31/12/2019	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპლექტი (სტანდარტული ლეგტიმი)	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '272 31.12.2019 მზარათი '4975/03-31.12.19 გადაცემა "ვინ არის მე-6-ე კლასელზე ჭკვიანი"	1,021	1,021	2122 44581
31/12/2019	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპლექტი (სტანდარტული ლეგტიმი)	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '272 31.12.2019 მზარათი '4975/03-31.12.19 გადაცემა "ვინ არის მე-6-ე კლასელზე ჭკვიანი"	1,021	1,021	2122 44582
31/12/2019	ღვინო "ზაგრატიონი კლ.ბრუტი	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 საახალწლო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	13,987	13,987	1627 03 131 27101
31/12/2019	წყნარი ღვინო წითელი მწრალი	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 საახალწლო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	1,563	1,563	1627 03 131 38926
31/12/2019	დაფასებული კანფეტი შოკოლადის ტორამისუზარაბში ქეპიტრტი/კე	სა.ზ. მუწეხბელი	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 საახალწლო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	1,185	1,185	1627 03 131 45225

31/12/2019	დაფასებული კანფეტი შოკოლადის ბრუნელუმ/მარამბო ექსპორტი/1 კგ	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	1,198	1,198	1627 03 131 45226
31/12/2019	ბრუნდირებული კვამიკის ჭიხ	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	2,381	2,381	1627 04 131 42516
31/12/2019	სასაჩუქრე ვაუჩერი 100 ლარიანი	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	4,700	4,700	1627 04 131 45019
31/12/2019	სასაჩუქრე ვაუჩერი 50 ლარიანი	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	1,000	1,000	1627 04 131 45048
31/12/2019	გამკობრელო ჭიხ ბრუნდირებული	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	339	339	1627 04 131 45243
31/12/2019	ტელევიზორი H32B5100	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	1,436	1,436	2220 01 131 45227
31/12/2019	ბლენდერი BH3001W	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	208	208	2220 01 131 45228
31/12/2019	დინამიკი PS-70BL Bluetooth black	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	229	229	2220 01 131 45229
31/12/2019	ბლენდერი BL1190	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	386	386	2220 01 131 45230
31/12/2019	ტოსტერი HD2581/00	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	528	528	2220 01 131 45231
31/12/2019	ელექტრო ჩაიდან MK-17S30A2	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	291	291	2220 01 131 45232
31/12/2019	უთი GC1434/30	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	241	241	2220 01 131 45233
31/12/2019	უთი GC1434/40	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	241	241	2220 01 131 45234
31/12/2019	წვესაწერი SC-012	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	403	403	2220 01 131 45235
31/12/2019	მტკერსასრუტი EERC70EB	საზ. მუწეხები	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალალო ღონისძიების დროს თანამშრომლებზე	296	296	2220 01 131 45236

31/12/2019	მოკრიტალური ლუმელი MM820CXX-B	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალწლო ღონისძიების დროს თანაშრომლებზე	160	160	2220 01 131 45237
31/12/2019	ყვადანი HD7457/20	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალწლო ღონისძიების დროს თანაშრომლებზე	219	219	2220 01 131 45238
31/12/2019	ყვადანი HD7761/00	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალწლო ღონისძიების დროს თანაშრომლებზე	304	304	2220 01 131 45245
31/12/2019	მობილური ტელეფონი E MAX (HLTE221E) BLUE 16GB/1GB	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '273 31.12.2019 მზარათი '4976/03-31.12.2019 სახალწლო ღონისძიების დროს თანაშრომლებზე	253	253	2220 01 131 45246
31/12/2019	მეხსიერების ბარათი SF032GBUF3B30V1KB30/32GB/Black	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '274 31.12.2019 მზარათი '4977/03-31.12.2019 სახალწლო გადაცემებზე	25	25	2220 01 131 45239
31/12/2019	დინამიკი PS-77 black-yellow Bluetooth Speaker	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '274 31.12.2019 მზარათი '4977/03-31.12.2019 სახალწლო გადაცემებზე	36	36	2220 01 131 45247
31/12/2019	სასაჭურვე ვაუჩერი 50 ლარიანი	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '274 31.12.2019 მზარათი '4977/03-31.12.2019 სახალწლო გადაცემებზე	500	500	1627 04 131 45048
31/12/2019	საქართველოს დროშა 1x1.5მ	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '274 31.12.2019 მზარათი '4977/03-31.12.2019 სახალწლო გადაცემებზე	178	178	1627 04 131 45074
31/12/2019	საქართველოს დროშა პატარა (ტარი)	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '274 31.12.2019 მზარათი '4977/03-31.12.2019 სახალწლო გადაცემებზე	85	85	1627 04 131 45075
31/12/2019	მუსიკალური დისკო "გიორგი როსტომიძე"	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '274 31.12.2019 მზარათი '4977/03-31.12.2019 სახალწლო გადაცემებზე	699	699	1627 06 131 45057
31/12/2019	წიგნები მხვადასხვასაჭურვე	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '275 31.12.2019 მზარათი '4983/03-31.12.19 სოფელ ნიქოზის ხელოვნების სკოლისთვის	1,118	1,118	1627 04 154 31117
31/12/2019	ფართის თჯარა მომსახურება	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '275 31.12.2019 მზარათი '4983/03-31.12.19 სოფელ ნიქოზის ხელოვნების სკოლისთვის	7,062	7,062	8240
31/12/2019	სოფლის გადაჭერა მომსახურება	საზ. მაუნტბელი	ბრძ. '275 31.12.2019 მზარათი '4983/03-31.12.19 სოფელ ნიქოზის ხელოვნების სკოლისთვის	4,291	4,291	8240

ხელმოწერილი პირები:

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მთავარი ბუღალტერი



## 1. შესავალი

### 1.1. კომპანია და მისი საქმიანობა

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნას საფუძველი ჩაუყარა კანონმა მაუწყებლობის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო და ძალაში 2005 წლის 18 იანვარს შევიდა. სახელმწიფო ტელე-რადიო კოორპორაციის საზოგადოებრივ მაუწყებლად ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისი სწორედ კანონის მიღებას უკავშირდება, რომლის რეალური დანერგვა მმართველობის ახალ ფორმაზე გადასვლით დაიწყო. 2005 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სამეურნეო საბჭო, როგორც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული და საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა; ხოლო სამეურვეო საბჭომ 2005 წლის 19 აგვისტოს ღია კონკურსის წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი აირჩია.

ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით შეიქმნა რვა საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც რეკომენდაციებს აწვდის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აერთიანებს სამ ტელეარხს: „პირველი არხი“ (მაუწყებლობს 1956 წლიდან), „პირველი კავკასიური“ (მაუწყებლობა 2010 წლიდან 2012 წლამდე) და „მეორე არხი“ (1991 წლიდან, ასევე რადიო არხებს-საქართველოს რადიო-პირველი არხი 102.4 (1925 წლიდან) და რადიო ორი- ქართული რადიო 100.9 (1995 წლიდან).

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის იურიდიული მისამართია კოსტავას N68, თბილისი, საქართველო.

### 1.2. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბიუჯეტო ფინანსური ანგარიში წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ეს მოითხოვება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის“ თანახმად, შემუშავებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ბრძანება №429, დათარიღებული 2014 წლის 31 დეკემბრით.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აღრიცხვას აწარმოებს შემდეგ უცხოურ ვალუტებში: ევრო (EUR), აშშ დოლარი (USD), დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP), შვეიცარიული ფრანკი (CHF), შვედური კრონი (SEK), დანიური კრონი (DKK).

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტის დასახელება	კურსი 31 დეკ. 19	კურსი 31 დეკ. 18
ევრო (EUR)	3.2095	3.0701
აშშ დოლარი (USD)	2.8677	2.6766
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.7593	3.3955
შვეიცარიული ფრანკი (CHF)	2.9488	2.7268
10 შვედური კრონი (SEK)	3.0700	2.9929
10 დანიური კრონი (DKK)	4.2970	4.1116

## 2. შედგენის საფუძვლები

### 2.1. შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

### 2.2. შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

### 2.3. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

### 2.4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

## 2.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რაც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები. ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, დაყენების/მონტაჟის, პროფესიული მომსახურების ხარჯებს და სხვა დაკავშირებულ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები, რომელიც უსასყიდლოდაა გადმოცემული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისგან, ან საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან, შეფასებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ და აღირცხულია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსურ ანგარიშში. მოცემული აქტივები აღიარებულია მის ღირებულებას დაკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირცხულია დამოუკიდებლად და კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება ფინანსური შედეგების ანგარიშში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ფინანსური შედეგების ანგარიშში წრფივი მეთოდის გამოყენებით აქტივის თვითღირებულების შესაბამისად, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. აქტივების ცვეთის პროცენტები მათი სასიცოცხლო პერიოდების შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (%)
შენობა-ნაგებობები	1-10 %
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	1-50%
სხვა ძირითადი საშუალება/ბიბლიოთეკა	1-25%

საექსპლუატაციო ვადების დადგენისას საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმძღვანელობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2002 წლის 31 დეკემბერს გამოცემული № 439 ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის წესებს.

## 2.6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

არამატერიალური აქტივები მოიცავს სატელევიზიო გადაცემების ლიცენზიებს, კომპიუტერულ პროგრამებს, სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო პროგრამებს, გამოყენების უფლებებს და სხვა

არამატერიალურ აქტივებს რომლებზედაც სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია ხელშეკრულებები. ამორტიზაცია ლიცენზიებზე და სხვა ვადიან არამატერიალურ აქტივებზე საბიუჯეტო ფინანსურ ანგარიშგებაში ერიცხება ხელშეკრულებაში განსაზღვრულ პერიოდზე გაანგარიშებით წრფივი მეთოდის გამოყენებით.

## 2.7. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების თანხით, რომელშიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ როცა ყველა რისკი და სარგებელი გადაცემულია მყიდველისათვის.

## 2.8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურება და მასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადმოცემულია საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.

## 2.9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

## 2.10. მარაგები

მარაგების შექმნის დანახარჯები მოიცავს: მათი შექმნის ფასს, ყველა გადასახდელს დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სატრანსპორტო ხარჯებს, დამზადების ხარჯებს და ყველა იმ დანახარჯს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მატერიალური მარაგების შექმნასთან.

საზოგადოებრივი მაუწყებელი იყენებს მატერიალური მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

მარაგების კორექტირება ხდება ინვენტარიზაციის აქტის შედეგებზე დაყრდნობით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანების თანახმად, დათარიღებული 2010 წლის 23 ივლისით, მარაგების ნაშთის კორექტირება ხდება მაშინ, როცა ინვენტარიზაცია ოფიციალურად ითვლება დასრულებულად და მისი შედეგები დადასტურებულია ზემდგომი საბჭოს მიერ.

## 2.11. წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესამენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

## 2.12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

## 2.13. არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივები შეიძლება შეიქმნას წარმოების პროცესის შედეგად, იყოს ბუნებრივად წარმოქმნილი ან წარმოადგენდეს საზოგადოებრივი მოწყობის საგანს.

არაფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგნაირად: ა) ძირითადი აქტივები; ბ) მატერიალური მარაგები; გ) ფასეულობები; დ) არაწარმოებული აქტივები.

ფინანსური ანგარიშების მიზნებისათვის, არაფინანსური აქტივები წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების სახით.

## 2.14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები აღიარებულია ნომინალური ღირებულებით იმ თანხით, რა თანხაზეც მოხდა დებიტორთან შეთანხმება. მოთხოვნები წარმოდგენილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნების სახით. საცნობარო მუხლში შეტანილი პირობითი მოთხოვნები წარმოადგენს ისეთ მოთხოვნებს რომლებიც ძალაში შედის მხოლოდ შეთანხმებული პირობის ან პირობების წარმოქმნისას, უფლებების დადგენით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, მოთხოვნები მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, მოთხოვნები განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით და სხვა მოთხოვნები.

## 2.15. არაწარმოებული აქტივები

არაწარმოებული აქტივები შედგება მიწის ნაკვეთისაგან, რომლის დასახელება და ღირებულება შემდეგია:

დასახელება	თანხა
კოსტავას ქ # 68 მიწის ნაკვეთი	1,129,106
<b>სულ</b>	<b>1,129,106</b>

## 2.16. კაპიტალის აღრიცხვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის საერთო საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება დამაბალანსებელი მუხლები - წმინდა ღირებულების და საკუთარი კაპიტალის ანგარიშები.

წმინდა ღირებულება წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს და ტოლია ყველა აქტივის (გარდა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივებისა) მთლიან ღირებულებას გამოკლებული ყველა ვალდებულების (გარდა ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილი ვალდებულებებისა) მთლიანი ღირებულება.

საკუთარ კაპიტალში აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი: გაუნაწილებელი მოგება და დაუფარავი ზარალი.

## 2.17. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა აქვს ელექტრონული საგადასახადო პორტალის საშუალებით სადაც ხდება განაცხადების გაკეთება და დეკლარაციების წარდგენა ელექტრონულად. საგადასახადო პორტალზე საგადასახადო ვალდებულებები და შესაბამისი გადახდები იწარმოება გაერთიანებული ბარათების მეშვეობით, მიუხედავად გაერთიანებული ბარათებისა საზოგადოებრივ მაუწყებელს საშუალება აქვს გადასახადების აღრიცხვა აწარმოოს ცალკე საგადასახადო ანგარიშების საშუალებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 152,718 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შეადგენს 305,457 ლარს,

უნდა აღინიშნოს რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მთლიანი საგადასახადო ვალდებულების არსებობა გამოწვეულია გადასახდელი დღგ-ს და არარეზიდენტის გადასახადის ოდენობით, რომლის გადახდის ვალდებულება არის 2020 წლის 15 იანვრამდე.

## 2.18. ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები

ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები რომლებიც მთლიანად არიან ამორტიზირებული და ბალანსზე აღრიცხულია ნულოვანი ღირებულებით რაოდენობრივად შეადგენს 4358 ცალს. ძირითადი აქტივების საერთო თვითღირებულება მთლიანად 14,534,190 ლარს უტოლდება.

## 2.19. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო დებულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.



ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება როდესაც ვალდებულება იფარება, უქმდება ან მისი სასიცოცხლო ვადა სრულდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრა მოყვანილია ქვემოთ.

## **2.20. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატის ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსის შესაბამისად.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საქმიანობას ახორციელებს შტატგარეშე თანამშრომლების საშუალებით, შტატის თანამშრომელს წარმოადგენს მხოლოდ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი

## **2.21. ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე შედგება სალაროში, სახელმწიფო ხაზინაში არსებული ფულისგან და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხებისგან.

## **2.22. სასესხო ვალდებულებები**

სასესხო ვალდებულებები აღიარდება ნომინალური ღირებულებით. საპროცენტო და სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღირიცხება ხარჯებში, როგორც ფინანსური ხარჯი მათი გაწევისთანავე. მიმდინარე პერიოდის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

## **2.23. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება**

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება აღირიცხება საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები და გრანტები).

ბიუჯეტიდან ფინანსირება აღიარდება მაშინ, როცა თანხები მიღებულია ორგანიზაციის საბიუჯეტო ანგარიშზე, საკასო მეთოდის გამოყენებით.

## 2.24. შემოსავალი სასპონსორო მომსახურებიდან

სასპონსორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, მაშინ როცა მომსახურება იქნა გაწეული (ხელშეკრულების პირობებიდან და გადახდის სქემიდან გამომდინარე).

## 2.25. იჯარიდან მიღებული შემოსავალი

იჯარიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება წრფივად ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ხელშეკრულების შესაბამისი პირობების თანახმად.

## 2.26. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი

სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი შედგება სანქციებისაგან ჯარიმებისაგან და სხვა სახის შემოსავლებისაგან.

## 2.27. საცნობარო მუხლები

იმ მუხლების შესახებ დამატებითი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მიეკუთვნება ბალანსს, მაგრამ არ აღირიცხება საბალანსო მუხლებად, აღირიცხება ბალანსის საცნობარო მუხლებში. საცნობარო მუხლები შემდეგია:

- საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები;
- პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები;
- გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება;
- ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში;
- პირობითი მოთხოვნები;
- პირობითი ვალდებულებები;
- საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა;
- ამორტიზებული ძირითადი აქტივები;
- ვადაგადაცილებული დავალიანებები;
- ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები;
- განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება;
- საბანკო გარანტიები.

## 2.28. FNRMN პროექტის ტრანზაქციის აღრიცხვა

2014 წლის 12 ნოემბერს ორგანიზაციამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ევროპის სამაუწყებლო კავშირთან“ (European Broadcasting Union regarding-EBU), რომლის თანახმადაც სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, როგორც EBU-ს წევრმა ორგანიზაციამ მიიღო აღჭურვილობა, პროგრამის ლიცენზია და მომსახურება „FUNA News & Radio Mandatory Networks Project“ პროექტის განსახორციელებლად.

გადმოცემული პაკეტის ღირებულება ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 150,000 შვეიცარულ ფრანკს, რომელიც დაფარული უნდა იყოს 7 წლის მანძილზე. ხელშეკრულების პირობების თანახმად, EBU იტოვებს ამ აქტივის ფლობის უფლებას აღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდში. აქტივის ფლობის უფლება ორგანიზაციას გადაეცემა პროექტის დასრულების შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ ამ მომენტისთვის ორგანიზაცია კვლავ იქნება EBU-ს წევრი. სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელს“ შეუძლია გადმოცემული პროგრამის გამოყენება, მაგრამ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, პროგრამის მფლობელობა მასზე არ გადმოდის. ხელშეკრულების თანახმად, EBU თავის თავზე იღებს ვალდებულებას დააფინანსოს საჭიროებისამებრ გადმოცემული აღჭურვილობის შენახვის ხარჯი.

ორგანიზაციას არ შეუძლია გადმოცემული აქტივი გამოიყენოს სხვა რაიმე მიზნებისთვის, გარდა იმისა რაც გათვალისწინებულია EUB-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (შეუძლია გამოიყენოს EUB სატელევიზიო გადაცემებისთვის, რადიო პროგრამების მიმოცვლისათვის, რომელი პროგრამებიც დადასტურებულია EUB-ის მიერ). ორგანიზაციას, ასევე არ შეუძლია გაყიდოს, გააქირავოს, ან დატვირთოს ეს აღჭურვილობა იპოთეკით.

წლიური გადასახადი, რომელსაც კომპანია იხდის აღნიშნული პაკეტის გამოყენებისთვის, ორგანიზაციის მიერ აღიარდება ხარჯებში. იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილდა ხელშეკრულებით მოთხოვნილი პირობა (პროექტის დასრულებისთვის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ კვლავ იქნება EUB-ს წევრი ორგანიზაცია). აღნიშნული პაკეტის მფლობელობა გადმოდის ორგანიზაციაზე პროექტის დასრულების შემდეგ. ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ ამ აქტივის მიღებისთანავე მოახდინოს მისი შეფასება და შეფასებული ღირებულებით აღიაროს იგი, როგორც აქტივი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშში.

### 3. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

#### 3.1. საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

#### 3.2. სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომისიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

### 4. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

#### 4.1 საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

#### 4.2 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

#### 4.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 4) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

### 5. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

## **6. საქმიანობის უწყვეტობა**

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

## **7. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები**

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 10 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.